საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრს

ბატონ ლევან დავითაშვილს

ბატონო ლევან,

გაცნობებთ, რომ შ.პ.ს. „სოფმარ 2020“ (ს/კ 415107379) გეგმავს ნაყარი ტვირთების (სპილენძის, თუთიის და ძვირფასი ლითონების კონცენტრატები) დროებითი შენახვის, დახარისხებისა და გადატვირთვის პუნქტის მშენებლობასა და ექსპლუატაციას ფოთის თავისუფალი ინდუსტრიული ზონის ტერიტორიაზე გამოყოფილ 20 000 მ$^2$ ფართობის მქონე ტერიტორიაზე (შიდა № 311).

შ.პ.ს. „სოფმარ 2020“-ის საქმიანობის სფეროა ნაყარი ტვირთების (სპილენძის, თუთიის და ძვირფასი ლითონების კონცენტრატები) დაგროვება-შენახვა, სპილენძის კონცენტრატის დახარისხება ანუ სხვადასხვა კონცენტრაციის სპილენძის კონცენტრატის ერთმანეთში არევა (blendig) და ნაყარი ტვირთების (სპილენძის, თუთიის და ძვირფასი ლითონების კონცენტრატები) გადატვირთვა შემდგომი ექსპორტირებისთვის.

აღნიშნული საქმიანობის ანალოგიური საქმიანობიდან საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს II დანართის 5.1 ქვეპუნქტის შესაბამისად განსაზღვრულია მხოლოდ "სასარგებლო წიაღისეულის გადამუშავება" და მიგვაჩნია რომ, მოცემული საქმიანობის განსაზღვრება არ შეესაბამება შ.პ.ს. „სოფმარ 2020“-ის დაგეგმილი საქმიანობის სფეროს, დაგეგმილი ნაყარი ტვირთების გადამუშავების ტექნოლოგიების გათვალისწინებით, რაც დეტალურად არის აღწერილი განცხადების თანდართულ სკრინინგის ანგარიშში.

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს მე-7 მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, ნაყარი ტვირთების (სპილენძის, თუთიის და ძვირფასი ლითონების კონცენტრატები) დროებითი შენახვის, დახარისხებისა და გადატვირთვის პუნქტის დაგეგმილი საქმიანობის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ჩატარების საჭიროების დადგენის წარმოგიდგენთ სკრინინგის განცხადებას და გთხოვთ თქვენს გადაწყვეტილებას.

დანართი: 1. შ.პ.ს. „სოფმარ 2020“ -ის ნაყარი ტვირთების (სპილენძის, თუთიის და ძვირფასი ლითონების კონცენტრატები) დროებითი შენახვის, დახარისხებისა და გადატვირთვის პუნქტის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტის სკრინინგის ანგარიში.

პატივისცემით,
ვახტან ალანია
შპს „სოფმარ 2020“ -ის დირექტორი

Sofmar 2020 LLC • შპს სოფმარ 2020 • 415107379 • Sofmar 2020